



619  
1996





პრეზიდენტის ვიზიტი ირანში.

## უოტონიზორკასია



სამი რესპუბლიკის პრეზიდენტი ბელგიაში.



ჩინეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მეუღლე  
სტუმრად ქალბატონ ნანული შევარდნაძესთან.



ყვითელი ღვინო საზოგადოებრივი-  
კოლმეტიკური და სპორტობაობრივი-  
სამხატვრო ჟურნალი

# დროგა

## შინაარსი

წმინდა თარიღები.  
შპასუნებზე პარლამენტა-  
რები.

ღათო ტურაშვილი (მთხრო-  
ბები).

წინა კუპაიშვილი ატი-  
რებულნი და მარჯა მთაწმი-  
და...

პასილ გვებაჟი, უკვდავება.  
გულნარა ბახტაჟი. მკის  
სასუმბალი (მთხრობა).  
მეზარ კვიტიშვილი... ახ-  
ალი ლმსხვი.

მალნაზ ხაზარაბეიშვილი.  
ღმსხვი.

ნანა ღვინოშაჟი. კორტრე-  
ბი ანფასხვი.

მარინა ხუბულია. სიკით-  
ის ბაკვეთილი.

ქეთიკა ვინფორმი. კა-  
ტარა გომო (მთხრობა).  
მეზ ხახტაჟი. ქართული თე-  
ატრის მშენებელი.

უცხოური იუმორი.

## სარამაქმეი კოლმეტიკა:

ჯანსუღ ჩახკიანი—თამაზ დომარი,

გულნარა ბახტაჟი—პასუნებზე მდი-  
რედაქტორი, პასილ გვებაჟი, ნახა  
თათარაშვილი, ზურაბ კვანტრიშვი-  
ლი, თაღო ნინოში, დინარა ნოღია  
(მხატვარი-გულმეტიკი), მალნაზ ზინ-  
ხალია, ზურაბ წამთელი, თამაზ  
ხილამა.



# ქუიცი თარიღები

პარასკევი დღით მღვდელმთა-  
ვრებმა ურისტანის მმართველ პონ-  
ტოულ პილატეს წარუდგინეს იესო  
ქრისტე: მთავრობის მოლაღატეო,  
და მოთხოვეს, ჯეარს ეცეათ იგი.  
მაშინ პილატემ ხალხის წინაშე აეა-  
ზაკი ბარაბა გამოიყენა: რომელი  
განუტეოთ? (წესისამებრ პასექისა-  
თვის ერთი სიკვდილისჯილთაგანი  
უნდა გაეთავისუფლებინათ). ბარა-  
ბაო! — დაყინებით მოითხოვა ხა-  
ლხმა. მსაჯულმა ხელები დაიბანა: მე  
უბრალო ვარ ამ მართლის სისხლის-  
განო. „სისხლი მაგისი ჩვენ ზედა,  
და შეილთა ჩვენთა ზედაო“ —  
დაიგვრვინა ბრბომ და ასე გაწირა  
მათივე მხსნელი და მაცხოვარი: ვი-  
საც ბზის ტოტებით შეეგებნენ წინა  
კვირას, ღღეს განიკითხეს და შეუ-  
რაცხვეს... ჯალათებმა ეკლის გვი-  
რგვინი დაადგეს, ჯეარი აქიღეს,  
ნაცემ-ნატანჯეს გოლგოთაზე აატა-  
ნინეს და ზედ აცვეს ორთა ავაზაკთა  
თანა მე—ღვთისა და მე—კაცისა.  
შეშწურებისას, ოღეს მძარი აგუ-  
მეს, იესო ქრისტემ სული გაუნტე-  
იმ საღამოსვე იოსებ არიმათიელმა  
და ნიკოდიმოსმა (ქრისტეს საიდუმ-  
ლო მოწაფეებმა), ღვთისმშობელმა,  
მარიამ მაგდალინელმა, იოანე ღვთის  
მეტყველმა და რამდენიმე დღეა ცე-  
მა ჯერიდან ვარდამონსნის პატიო-  
სანი გვაში, წესისამებრ დაიტრეს  
და დაკრძალეს.

შაბათი დღით მღვდელმთავრებ-  
მა, პილატეს თანხმობით, ყარაულინი  
მიუჩინეს იესოს საფლავს. ემინო-  
დათ, მოციქულთ არ მოეპარათ მოძ-  
ღერის გვაში: აჰა, წესისამებრ აღ-  
დგაო მკვდრეთით.

ოღეს სხეულით სამარეში განის-  
ვენებდა, იესო სულით შევიდა ჯო-  
ჯოხნეთში და ახარა სიცოცხლის ვა-  
მარჯეება იქ ტანჯულ სულეს. მი-  
სი მისელით შემოწუნდა და დაირღვა  
ჯოჯოხნეთი. ქრისტემ იქიდან გამოი-  
ყენა მართალინი სარწმუნოებით, რო-  
მელნიც მოელოდნენ მაცხოვრის მო-  
სვლას.

ღიდ შაბათს შეიმოსრა ბჭვინი ჯო-  
ჯოხნეთისა, ამიტომაც ღილაღდნენ  
ციღერნი ძალნი: ცხოვრების მომცე-  
ლო ქრისტე ღმერთო, ღიდება შენდა.

შენელსაცხებელთა ღედება საფ-  
ლავსა ზედა ანგელოსი უღაღადებმა:  
ნელსაცხებულ მოკვდავთაგის სან-  
მარ არს, სოლო ქრისტე სრწმუნო-  
ბისაგან უცხო იქმნა. კვირას განთი-  
ადისას, მკვდრეთით აღდგა უფალი  
და მაცხოვარი ჩვენი იესო ქრისტე.  
გატხადღა ჭეშმარიტება: ქვეყნად  
მოუღვნილი ძე ღვთისა იყო უკვდა-

ვი ვით ცოლვაძელი ადამი. გვენი-  
ნა: მერმისს, ოღეს იქნება სხვა ცე-  
და მიწა, რაჟამს ღიდებით მოვა ჯეა-  
რცმული ღმერთი, აღღვებთ ჩვენს-  
ცა: შევიმოსთ გაურწწნელ სოცნს  
და ღვთის მარადიულ სასუფეველს  
დაჯურუნდებით.

პირველი ცოლვა ჯეარცმითა და  
წინდა აღღვომით მოეცნა ადამიანს.  
ამიტომაც ვრაცთ ამ ღღესსწაულს  
უღიდესად და გარდავიხით გაზა-  
ფხულთობით მოვარის ავისების სწორ  
კვირას.

ტროპარი: ქრისტე აღდგა მკვ-  
დრეთით, სიკვდილითა სიკვდილი-  
სა და მორგუნველი და საფლავების  
შინათა ცხოვრების მძინიჭებელი.

საქართველოს  
მ რ ო მ ე შ ო ლ ი

# სასწრაშო შეხვედრა კვლევი

1. რას ნიშნავს თქვენთვის სიბრძნე ზირაქისა? „ნუ გვექნება ხელი გაწვდილი მისაღებად და მიმოჭული გასაცემად“.
2. რა არის პროვინციალიზმი?
3. საქართველოს გარდა რომელ ქვეყანაში იცხოვრებდით და რატომ?
4. ხვალის იმედი თუ გაქვთ?

### მანანა ზიგინაიშვილი:

1. ბიბლიური წინასწარმეტყველის ისო ზირაქის ეს შეგონება სხვადასხვა ფორმით მრავალმა ბრძენმა უთხრა კაცობრიობას. მე მაინც ჩვენი რუსთაველის „რასაცა გასცემ შენია, რაც არა — დაკარგულია“ მაგონდება პირველ რიგში. მხოლოდ მატერიალურ ფასეულობათა გაცემა არ იფუნქციონებს არც ისო ზირაქთან და არც რუსთაველთან. მშვიდობის დაპყრობა კარგი საქმეა, მაგრამ სულიერი საზღვრის გაცემა — კიდევ უკეთესი.

გაცემა იმ იმედით, რომ შენგან დავალებული ადამიანი გაიწვევს სასაზღვო დახმარებას — ანგარებაა.

გაცემა სხვაზე ზრუნვაა, თავკერძობის დაძლევა. როცა სიკეთე და სიყვარული გაუცემინებს, გაცემული უკან ვიბრუნდება სხვაგვარად: გაცემა სულიერად გამდიდრებს და სრულყოფს, სიკეთე მატულობს დედამიწაზე, სიყვარული მკვიდრდება.

2. ლიტერატურაში პროვინციალიზმს სრულიად გარკვეული მნიშვნელობა აქვს და ალბათ ამას არ მკითხავდით. ე. ი. პროვინციალიზმი ზოგადად, ცხოვრებისეული ასპექტით. პროვინციალიზმი ჩემთვის არამც და არამც არ ნიშნავს პრიფერიაში მცხოვრები ადამიანის რაღაც განსაკუთრებულ შინაგან სტრუქტურას და ქცევებს. პროვინციალიზმი შეხედულებათა შეზღუდულობაა, ფართო ხედვის უქონლობა, ვიწრო ინტერესებით შემოფარგვლა, პროვინციალიზმმა დაგვრია ხელი ქალაქადაც და სოფლადაც. დამოუკიდებლობის მოპოვება და ქვეყნის ცხოვრების მოწყობაც პროვინციული ცნობიერებით ვცადეთ. ისტორიულად მსოფლიოს კულტურული ცხოვრების რიტმში ჩართულ ქართულ კულტურას და ქართულ ტო-

ლერანტიობას არაფერი ჰქონია საერთო პროვინციალიზმთან. ამიტომ მჯერა, რომ ქართველი კაცი ისევე გააუგებს გზას ფართო კულტურული კავშირებისკენ, თვითშემეცნების მასშტაბური განზომილებებისკენ.

გარდაუვალი ეპოქა ყველა ქვეყანაში მიმდებარე იყო. რა გასაკვირია, მიმდებარე იყოს ჩვენიც. უკვე დადგინდა ფართო პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული კავშირები. მჯერა, რომ თავს დაავადებთ კრიზისს. ხვალის იმედზე მეკითხებით. ხვალის იმედიც მაქვს და დიდი ნათელი მომავლისაც. ზღადავს პროვინციალიზმზე საუბარს როგორ გადავხლართა პასუხი ხვალის იმედზე?.. მოეწყდით სამყაროს და ჩავიკეტეთ ჩვენს ნაჭურვში. ახლა დიდი პერსპექტივები იხსნება ჩვენი ქვეყნის და ჩვენი ხალხის წინაშე. შუა საუკუნეებში ახერხებდა საქართველო გლობალურ კულტურული ინტერესებით ცხოვრებას. მით უმეტეს მოახერხებს ახლა, როცა ისე მიდის ქართული სახელმწიფოს შენების საქმე, რომ სხვადასხვა ქვეყნის ფართო ეკონომიკური და შეესაბამება პოლიტიკური ინტერესებიც უკავშირდება ჩვენს ქვეყანას. საქართველო ახალი ძალით და ახალი ფორმებით კვლავ იბრუნებს პოლიტიკურ, სავაჭრო-ეკონომიკურ და კულტურულ პროცესულ გზაჯვარედინზე თავის უნიკალურ როლს.

3. საქართველოს გარდა რომელიმე სხვა ქვეყანაში ცხოვრება არასდროს აზრად არ მიმსვლია. ჩემი ნებით ასეა და ბედი თუ მაიპოლებდა, ყველგან გავძლებდი, თუცა ვამიზნებოდა. სამკობლად ბევრ ქვეყანაში ვყოფილვარ, ბევრი ქვეყნის კულტურითაც დაინტერესებულვარ. მაგრამ საქართველოს ისტორიასთან, მის კულტურასთან, ქართული ენის მადლთან სისხლბორცულ კავშირს ვგრძობ. ქვეყნის წახედნასთანაც სისხლბორცულად ვარ დაკავშირებული და ასევე სისხლბორცულად მინდა ვყოფ დაკავშირებული მის აღორძინებასთანაც.

### მიხილ სააპაიშვილი:

1. ყველა ადამიანს, პირველ რიგში, საკუთარი თავის იმედი უნდა ჰქონდეს. შემდეგ ისევე საკუთარი თავისა და ბიძგის ისევე საკუთარი თავის. ცხოვრება ბრძოლაა და აქ მოდუნება არ შეიძლება, თუმცა წაქეველსაც უკვლავ თავის ხელი უნდა გაუწიოდ, ვინაიდან ერთი რომ უნდა გასოსვდეს, ხვალ შეიძლება შენც მსგავს მდგომარეობაში აღმოჩნდე.

2. პროვინციალიზმი ის არის, როცა მავანთ ჰკონიათ, რომ აქეთ უპირობო უფლება, განსაჯონ სხვათა ქმედებები, როცა ადამიანს სწამს თავისი განსაკუთრებულობა, და ეს „რწმენა“ უფლებას აძლევს, დაამციროს სხვები. პროვინციალიზმი ასევე, როცა გვეკრ, რომ ყველაფერი უცხოური ყველაფერ მშობლიურს სჯობს ან პირიქით.

3. ამერიკა, თუცა ამერიკა უფრო ნაკლებად კომფორტულია, ვიდრე რამდენიმე ევროპული ქვეყანა, ალბათ მაინც ერთადერთია, სადაც ძალი გააწვყება, რომ უცხოელი ხარ,



4. სანამ ადამიანი სუნთქავს, ზეალის იმედი უნდა ჰქონდეს, ეს ჩვენს ფიზიოლოგიაში ძვეს დამცავი მექანიზმი, ამავე დროს გონებაც მკარანაზობს, თუკი საქმეს გულთი მოვეცილებით, ჩვენს ქვეყანას ნამდვილად ეშველება.

**პირობა კოზახშია:**

1. ნიშნავს ზუსტად იმას, რასაც გულისხმობს. ჩვენთვის, პოლიტიკოსებისათვის ძალზე ადვილია ამ პრინციპით ცხოვრება, აქტიური საქმიანობის ფართო ასპარეზი გვაქვს, თავისთავად ის ჩვენი საკეთებელი საქმე რომ არ იყოს ძნელი და მრავალი პრობლემის მომცველი.

2. პროვინციაში, ზოგადად, პიროვნების გარემოსთან შეუთავსებლობა, უფრო ზუსტად – შეუხამებლობაა.

3. ხანგრძლივი ვადით ვერცერთ ქვეყანაში ვერ ვიცხოვრებდი საქართველოს გარდა. ეს არ არის რომანტიკა, გამოცდილების საფუძველზე ვლაპარაკობ. თუ საქმე არჩევანზეა, იმას ვისურვებდი, რომ საქართველოს უფრო სამხრეთით გადაეწავლა და ამით ზამთრის ხანგრძლივობა ერთ-ორ კვირამდე დასულყო.

ისე, კაცმა რომ თქვას, უკანასკნელ ხანს რამდენიმე ქვეყანა მოვიარე და ვერ ვიტყვი, სადმე ცხოვრება უფრო საინტერესო იყოს, ვიდრე ჩვენში. იქ ყველაფერი იმდენად მღორედ, ყოველგვარი პრობლემის გარეშე მიედინება, რომ კაცი შეიძლება გადაგვარდე, ადამიანის სახე დაკარგო. ერთი სიტყვით, აქაურობას ვერაფერი შეედრება... ცოტა გადაჭარბება რომ არ გვიყვარდეს...

4. რა თქმა უნდა და ამ იმედის სერიოზული საფუძველიც გამაჩნია.

სხვა მხრივ, ზეალის იმედის გარეშე, პოლიტიკაში ყოფნა ბოროტებაა, დანაშაულია.



**ზურაბ ჩხიშიძე:**

1. გაკმაყოფილებდეს დღეისათვის რასაც ფლობ და არ გაგაბოროტოს სურვილმა, უფრო მეტი მიიხვეჭო.

თავდადებული შრომით და კეთილშობილური ქცევით, უხვად გასცემდე საქმის, ხალხის და სამშობლოს საკეთილდღეოდ, რისი გაცემაც შეგიძლია. გაითავისო სხვისი გასაკვირი.

2. შემთხვევით აღმოცენებული ან შემთხვევით გამდრებული, დაბალი შინაგანი კულტურის და დაბალი განათლების მქონე პიროვნების მიერ „ოქროსფრად მოვარაყებულ“ და „ვარდისფრად გადაღებილი“ გაცვეთილი, ფუყე ფრაზების და ჟანგმიღებული საცნებების დემონსტრირება, შინ და გარეთ.

3. მიუხედავად იმისა, რომ დიდ პატივს ვცემ ყველა ქვეყნის ხალხს, საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებულ მთ ტრადიციებს, ცხოვრება შემძლია მხოლოდ საქართველოში. აღზრდილი ვარ ტრადიციულ ქართულ ოჯახში. შესისხლხორციებული მამკეს და მსზობლავს ყველაფერი ქართული. მიყვარს მეგობრები, მეზობლები, მიწაც, ზეცაც და ვარსკვლავებიც ქართული.

4 ბუნებით ოპტიმისტი ვარ და ზეალის იმედი ნამდვილად მაქვს.





# ნება ქალაქის

დათო ტყარაშვილი

## სამრო... არა ჩვენში

● 1988 წლის ნოემბერში, მთავრობის სახლის წინ, ქართველებმა რომ მასიური შიმშილი გადაწყვიტეს და დაიწყეს კიდეც, შიმშილობის მეშვეილე თუ მერვე დღეს, ქალაქში სიტუაცია საგრძნობლად დაიძაბა — ხმები გავრცელდა, ტანკები შემოვლენო და ვინაიდან ცოცხალი ტანკი ჯერ არ გვეჩანა, ინტერესთან ერთად, შიმშილ ვაჩნდა. შიმშილ, შიმშილსეხენება, დიდი თავალები აქვს და ლამაზობით, უნივერსიტეტსა თუ პოლიტექნიკურ ინსტიტუტში სერიოზული თავყრილობები იმართებოდა — რა ვიღონო, როგორ მოვიქცეთო და ა. შ. როგორც ზენე მაშინ ვეძახდი ერთგული მოძრაობის ლიდერთა გარდა, იმ შეკრებებში, იმავე მოძრაობის რიგითი წევრებიც ესწრებოდნენ და ხალხი მრავლად გროვდებოდა ხოლმე. ერთ-ერთი ასეთი თავყრილობა კინოს სახლში გაიმართა, სადაც ერთ-ერთმა ლიდერმა შეკითხვაზე, ტანკების როგორ დაეუპირისპირდეთო, გულწრფელად მიუწვდია ხალხს, კარატესა და ჯიუჯი-ჯიუს ილითების სასწრაფოდ ათვისებისაკენ.

შემდეგი თავყრილობა, შეერალოთ კავშირში, იმდროინდელი თავმჯდომარის ბატონ მუხრან მაჭავარიანის კაბინეტში შედგა და ამჯერად სხვა ლიდერმა, მაგრამ იმავე შეკითხვაზე (რატა დაიბაულობათ შიშ კულმინაციის მიაღწია) გაცილებით საინტერესო გამოსავალი მთავრო და სანამ სათქმელს საბოლოოდ ჩამოაყალიბებდა, ინფორმაცია მოგვაწვდია — სამიოდე დღის წინ, თბილისში შიმშილობასთან დაკავშირებით, ქუთაისიდან ქვეით — პატრონიტა ჯგუფურ გამოვიდა და დედაბაბუი-საკენ ფეხით მიდიანო, ზგალ-ზეგ ალბათ თბილისში იქნებოდა და დაწყვეტილად აქეთ სერგო ორჯონიკიძის ძეგლი საზეიმო ვითარებაში მოქაჩონ და ჩამოავდინო. სპეციალურად ამისთვის თოცოც მოაკეთ, მაგრამ თოცზე ხელისშობილებების მსურველთა რიცხვი გა-

ცილებით დიდია და იქნებ მთავრობას თხოვნიტ მივმართოთ და რაიმე მიგვიხერხოს, წეროლის ტექსტიც შედგენილი მაქვსო. სქელ და საქალაქოდეან ფურცელიც ამოაშვრინა და რატომღაც ზვიად გამსახურდიას დაუდო წინ. ცხოვნებულმა ზვიად გამსახურდიამ კი რატომღაც მე გადმომხედა და ალბათ იგივე იფიქრა — სადმე ცარიელ თიხაში ჩამკეტა და გულიანად მაქინა-მეთქი.

იმ დღის მერე ბევრმა წყვალა ჩაიარა და სასაცილოდ ნაძვლად არ წასულა ჩვენი საქმე. თუმცა ზრდილობაანამა თბილისელებმა 1989 წლის ზაფხულში მასინც დიმილით გააცილეს ჩვენს ქუჩებში ჩამოტარებული სერგო ორჯონიკიძის ძეგლი. რამ გააბოროტა-თქო მეს კაცი, მანამდეც მიფიქრია და მერეც, მაგრამ ამ საიღმურის ამოხსნა მხოლოდ გასულ წელს შევეძელი, — ხარაგოულში, სერგო ორჯონიკიძის მშობლიური სოფლის მიმდებარე ტერიტორიები რომ მოვიწინაულებ და ჩემდა წვლად დაახლოებით შვიდი ლიტრი ღვინო, სრულიად უშედეგოდ მივიღე, რომ ევლარ დაეთვირეთ ვერც მე და ვერც ჩემი მეგობრები (მიუხედავად იმისა, რომ ამდენი ღვინო ერთად არასოდეს დამიძვევია), თითო-თითო რიყის ქვა, გაბრუების მიზნით თავში ჩავიკარიტ და იმერულ ღვინოზე გულგამსწრალინი, ულამაზეს იმერეთს მოვედეთ. შესახედად მშვენიერი სახლი ამოვიჩრქი, ფანჯრიდან გადავხედი და მანამ ვიძინე, ვიდრე საწლიმიანი ქალბატონის ზედად არ გამაღვიბა — ეს ჩემო ბატონო, სერგოს ტახტია და ჩვენთან გადობრძანდით და იქ მოისვენეთო. იმერული ღვინისაგან დამძარული, დამკაეებული და გაუბედურებული ჩემი კუჭი, იქვე ტახტის ახლო-მახლო მივიძიე და ახლავა ავხედე სერგო ორჯონიკიძის გადიდებულ პორტრეტს. ქალბატონის ბოდიში მივუხადე და ეხოდან გადავედი. ჩემი მეგობრების აბაჯი ვიკითხე და ჩვენთან არის, — ისეთი ღვინო ვაქვს,

სულ ვანწებით მიირთმევენი. ბოდიში და მადლობა ერთდროულად ვთქვი და ტრასაზე გავედი. ვზის პირას დურუ იჯდა მოზრდილ ქვაზე და იღიმებოდა. რა გაციენეს-მეთქი. კუჭი ამოიბიჯეს და ვეებო. ვვლოდით მანქანას და ვერაფერი გაუაჩრეთ. დავბრუნდით მასანძრელებთან გაბოროტებულები და დილამდე, რეგ-რეგობით ვირტყით თავში, ერთხელ უკვე გამოვიჩნეული, რიყის ქვები...

## საუკმა

● შეიძლება ასე მინდა იყოს და ამიტომაც მერვენება, რომ საქართველოში საციტრი ცვლილებები ხდება — ერი აშკარად ვაჩნადლება როგორც გონებრივად, ასევე ფიზიკურად. დღევანდელი ბავშვები, გაცილებით ჭკვიანები არიან, ვიდრე ჩვენ ვყავით იმავე ასაკში და თბილისის ქუჩებში გაცილებით მეტი ლამაზი გოგონა დაბაბუავებს, ვიდრე თუნდაც ათი ან თხუთმეტი წლის წინ.

როგორც დაკვირვებულ თვითმხილველთაგან გადმოცემით ვიცი, იმ ათი ან თხუთმეტი წლის წინ, თბილისში სულ რამდენიმე ლამაზი ქალი დადიოდა და ისიც შესაბამისი ზემდგომი ორგანიზების მკაცრი მეთოდურების ქვეშ (აღსანი, იმ მიზნით ემანდ სადმე ანტისამბეჭოთა საქმიანობისთვის არ გამოიყენებო). ყოველ შემთხვევაში (და უფრო სერიოზულად), იმ დროის ლამაზმანები, გაცილებით ნაკლებად ჩანდნენ ჩვენი ქალაქის ქუჩებში, ვიდრე დღევანდელი მშვენიერებანი, და თუ თვლი არ მატყუებს, ქართველებს აშკარად შეეცვალათ კანისა და თმის ფერი (სიმაღლეში მატყუასთან ერთად). ბავშვებიც წინა თაობისაგან განსხვავებით, უფრო ხშირად არიან ქერები, ვიდრე შავკერებანი და გონებრივ განვითარებაზე კი ზემოთ უკვე ითქვა.

ასევე ზემოთქმულიდან გამომდინარე, თავად სილამაზის არჩევანიც არანახულად გაფართოვდა


და გაიზარდა. ტელე და ვიდეო საშუალებებმა ლეგენდარული ქაღალატონების ყოველდღიური ნახვის საშუალებებს შეაჩვიეს მათურებელი და დღევანდელმა მოზარდმა, მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნის ნებისმიერი მოედლისა და ლამაზმანის შესახებ ცხოვრებისა და საქმიანობის ნებისმიერი დეტალი ზეიარად იცის.

ჩვენ დროს კი, საბჭოურ ბავშვობასა და სიჭაბუკეში, ფიზიკური თუ სულიერი სიმდიდრე და სილამაზე, უმკაცრესად ისჯებოდა კანონის ძალით და მიუხედავად იმისა, რომ სიმშვენიერისკენ ლტოლვის ჩახშობასაც კი ცდილობდნენ, სილამაზის რაღაც ნატუნები მაინც აღწევდა ჩვენამდე. მხელად, მაგრამ მაინც ჩვენითვის ამ ნატუნთაგან, ერთი მათ შორის, გამოჩნეულად მვირფავს იყო და არის, არის, რადგან რაღაც დაგვივიწყებს მართლა დაუვიწყარ ზემკეს „მაკენას ოქროდან“, სუნთქვაშეკრულნი რომ შევცქეროდით მის გამოჩენას თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე და მერე უსასრულოდ, გაუთავებლად (ან პირიქით) მასწავლებელითა შენიშვნების მიუხედავად, მაინც ვიზრავდით საკლასო ოთახის მერხებსა თუ სკოლის ეზოში, ქუჩასა და შინ, სადაც კი გავგახსენდებოდა ხოლმე მშვენიერი ზემკე, ჩვენი ტანჯული სიჭაბუკესა და ოცნების აუზღერელი, მაგრამ განუყველი ნაწილი...

## როცა პატარავდება დამე

● ჰქონდა ზალიკო სამადაშვილს, დიდებულ მწერალს, დიდებული წერილი წიგნზე — ზოგადად და კონკრეტულად წიგნზე, სამხელი ზამთრის სამხელ სიცვიც რომ აღლიბს და ატტერეკს. ატტერეკს მაშინ, ლოგინში რომ ჩაიყოლებ კარგ წიგნს და საჩილის შუქზე ერთიღერ გუზას პოულად, საბოლოოდ არ გაბოროტდე. და შენში, ის განსხვავება არ გაქრეს, ადამიანსა და პატრუტკვს შორის რომ არსებობს...

ახლა აღარაა ზამთარი და არ



მხატვარი თენგიზ სამსონაძე

გვცემა. პირიქით — ზაფხულია და ცხელა და სიცხის გარდა ის მარტოვი საზრუნავიც მასწუხებს რასაც ოჯახი ჰქვია. როგორ დაუჯერებლადაც არ უნდა ყლდრდეს, ჩემი პატარა ოჯახის წევრებს (დიდანი-პატარანად) ერთი უცნაური თვისება აქვთ — დღეს რომ შუკამენ ხოლმე (მდაბიურად რომ განვმარტო), ზვალ ისევე მომივლიბათ, ვიცი და ვვიქრობ. ვვიქრობ, ის სახვალთო ფული სად შეიძლება ვიშოვნო და რადგან ვიცი, რომ ამ პრობლემის გადაჭრა, არც ისე იოლია (და ნერვული სისტემაც საქმიოდ დამიბერდა), ერთადერთი რაზეც ვოცნებობ — გრძელი ღამეები. სწორედ ის ღამეები, როცა

ოჯახის წევრებს უკვე ღრმად ძინათ და არავინ მიმლის ხელს ჩემს საფვარელ წიგნებთან მარტოდმარტო დარჩე. მაგრამ უბედურება ისაა, რომ კითხვისას, დრო, გაცილებით სწრაფად გარბის და ისე დაბათუნდება ხოლმე, სიმწრისგან ცრემლი მერევა...

ამას წინათ (ღევან რამიშვილის რჩევით), სერგეი დავლატოვის წიგნები წავიკითხე და ამ სიცოცხლამ (მართლაც დიდმა კაცმა და მწერალმა) საოცარი ღამეები მარუქა. ვკითხულობდი ნელა, აუჩქარებლად და მეშინოდა, ჩქარა არ დასრულდებოდა სიტყვისა და მარტობის ჩემი ზემი. ზემი, რომელსაც ადამიანს, მხოლოდ და მხოლოდ წიგნი ჩუქნის...

### ჩემი პატარა ლარკი

● გამთენიისას ჩემი ორი წლის შვილის, ანა — მარიამის არაღამიანური ხმა მაღვიძებს — საწილზე წამომჯდარა და გაბმულად კივის.

— რა მოხდა?! — კითხულობ მოგონილი სიმშვიდითა და სინათლეს ვაჩნებ.

— რატომ გავიღვიძე?! — ამბობს ცრემლნარევი ხმით და პასუხის მილოდინში თვალს არ მამორებს. მე არც პასუხი მაქვს და არც იმის დრო, საკუთარ შვილს ის აუვხსნა, თუ როგორ აწუხებს დანარჩენ კაცობრიობასაც, მარადიულად ქცეული ეს ფილოსოფიური კითხვა. ამიტომაც, ვამშვიდებ ანა-მარიამს და თუმცა მწელად, მაინც ვცდილობ მის დაძინებას. მე კი რაღა დამაძინებს და ახლა სერიოზულად ვფიქრობ, რატომ და რისთვის იღვიძებს ადამიანი. თუმცა სერიოზულსა და აზრიანს, ვერაფერს ვაგნებ და ისევ ბროდსკი მახსენდება — ექიმმა სივარტის მოწვევა რომ აუკრძალა ოპერაციის შემდეგ და სახელოვანი პოეტი, გულწრფელად და სამართლიანად აღმოვიდა — ერთადერთი, რის გამოც ამ ქვეყნად გაღვიძება მახარებს, სივარტის ის ღერია, დილით, ყავის შემდეგ რომ უნდა გაავბოლო და სივარტის მოწვევას თუ ამიკრძალავთ, ჩემს გაღვიძებას რაღა აზრი აქვსო...

იოსებ ბროდსკი, ასი წელი შეიძლება ვერ ვნახო, მაგრამ ჩემმა ანა-მარიამმა, ხვალ დილითაც იგივე რომ მკითხოს და ისევ დაიჟინოს, რისთვის იღვიძებს ადამიანი, რა უნდა ვუთხრა. არადა მკითხავს, ჩემი შვილია და მგავს. მგავს და ამიტომაც მკითხავს...

### ბოზო

● ბოზოს, იგივე გიორგი მარგველაშვილის აზრით, ყველა დროისა და ქვეყნის უდიდეს პოლიტიკოსად, სრულიად უსამართლოდ, არ აღიარებენ ვასილ მჭავანძლეს. თავად ბოზოს კი მიაჩნია, რომ ერთადერთი, სწორედ ვასილ მჭავანძლეს შეძლებდა ჩვენი ქვეყნის გამოყვანას იმ ურთულესი პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სოციალური კრიზისიდან, რომელშიც უკანასკნელ ხანს ყველანი აღმოჩნდით. და გიორგი მარგველაშვილის დრმა რწმენით ვასილ მჭავანძლეს, ჩვენი სახელმწიფოს განვითარებისათვის აგრერივად აუცილებელ რეფორმებს, ის რესტორნის აღ-



მხატვარი ღინარა ნოია

დგენითა და განახლებით დაიწყებდა, ფუნქციონირებ რომ იყო და საიდანაც ხელის გულივით მოჩანდა ის თბილისი, სადაც ყველმოდერებით მეორედა ლალი მიიღვლი ბედნიერი, მოცეკვავე წყვილებისათვის და ღვინისაგან გავლილებულ, უდარდელ მოქიფებებს ვარსკვლავებით მოჭვდილი, უღრუბლო ცა დაჰყურებდა.

რესტორნის აღდგენა-რესტავრაციის შემდეგ, რაც უპირველესად უნდა გაკეთდეს, იმ „ძველი კვლევის“ მიძიებაა საჭირო ჩვენს ქალაქსა და რესპუბლიკაში, კერძო პირებსა თუ დაწესებულებ-

ებს, ჯერ კიდევ რომ შემორჩათ. რადგან ბოზოს პროექტითა და აზრით, მთაწმინდაზე კლიენტები და მსურველები, მხოლოდ ძველი, კოფოზე ირემამხედრებულ კოლეჯებით უნდა ავიდნენ და ეს, გიორგის ღრმა რწმენით, აუცილებელია იმისათვის, რათა ჩვენ ისევე გვეყვარდეს ერთმანეთი როგორც ჩვენს ძამებს 60-იან წლებში, ჩვენს უპრობლემო, ჯანმრთელ ძამებს — თეთრი პერანგებითა და ვიწრო შარვლებით...

ასეთია ბოზო — ჩვენი მეგობარი — ლიგენდარული თენგიზ ზეინკლაშვილის ყოფილი, მაგრამ მერიფასი სიძე...



ჩვენი ბავშვობის ზღაპართაგან, ცირკი ყველაზე მეტად ჰგავდა ნამდვილ ზღაპარს და ყოველ შაბათ-კვირას, ჩვენი ამ საოცრების სტუმრები ვიყავით. სანამ წარმოდგენა დაიწყებოდა და როგორც მაშინ ვკვირვებოდა იმ უსაშველო კისის ავლამდე, იქვე საღაროებთან ათობით ბოშა ქალი იროულად საღეჭი რეზინების ხელში, ფერადი ბუშტებით და უცნაური, თვითნაკეთი სათამაშოებით... კომპოზიტორებთან მიმსხდარი დღევანდელი ბავშვებისათვის ძნელად წარმოსადგენია ჩვენი იმდროინდელი სიხარული და აღტაცება იმ პრიმიტიული გასართობებით, ცირკთან ერთად რომ გაქრა და ჩვენი ბავშვობასავე, უკველოდ დაიკარგა.

მახსოვს, წარმოდგენის დაწყებამდე სკამების ბრახუნს და ქანდარახზე ინსტრუმენტომარჯველები პატარა ორკესტრი, ძნელადსაშინებელი ბილეთები და საღამოს, რესალოთიანი სენსებები, შესვენებაზე ოკეაიკიანი დიდებული ნაყინი და მზიარული კლოუნები, სპილოები და ცხენები, კუფხვები და იგორ კიო...

შეშველი ქალიც, პირველად სწორედ ცირკში ვნახეთ და ის ყველმურიანი, სეფადანი თვალბეცი მაგონდება ჩვენი, წინა რიგებში დილიანი უფროსების დანახვისას, ცრემლებით რომ გვეცხვებოდა. უფროსებიც კაყოფილი იყვნენ ხილმე და მშობლების მართლაც სიამოვნებით დაყვავით ცირკში. ის კი არადა, ისეთი წარმოდგენებიც იმართებოდა ზოგჯერ, ჩვენი ქალაქისა და ქვეყნის მაღალნიშნან და მვირფას სტუმრებსაც კი ხალისითა და სიამაყით პატივებდნენ იმდროინდელი ხელისუფალნი.

რაც შეეხება ცირკის სასტუმროს, მის აღწერას, ფელისის ნიჭი უნდა და ისედაც ცრემლმორეულს, მირჩენია ოთარ რატხიანი გავისხენა, პირდაღებულებს რომ გვტოვებდა თბილისის მოქალაქეებს და დიდიან-პატარაანად ხალხს, მეტი სალაპარაკო და თავსუქციე არცა ვკვირნდა. დილაშუშების საგასტროლოდ ჩამობრძანებაც, უდავოდ დიდი მოვლენა გახლდათ ჩვენი ქალაქის ცხოვრებაში და ერთადერთი, რაც გვაკლდა, ნინო რიზა იყო — ლეგენდალ ქვეული მუსიკით და მაინც იმედიოთ...

და კვებურობით ცირკით, თითქოს ჩვენი ცხოვრება ნაკლებად

ჰგავდა ცირკს და ვიტყვი მეტს — ეს იყო ცირკი ცირკში. და მაინც იყო იმედი.

ახლა, როცა იმედი კვდება და მაყვას პატარა ქალიშვილი, მისი დევეინებულ მოთხოვნით, ვეწვივით ცირკს და ამდენი წლის განშორების შემდეგ, გამოგნა შენობამ, დარბაზმა და რაც მთავარია — არუნამ. რაზხელა მეჩვენებოდა ბავშვობაში აქ ყველაფერი და ამ ერთ ცილა არუნაზე (ვერავრით მივხვდი), როგორ ეტეოდნენ მაშინ ვიწრავები, სპილოები, ცხენები, ბეჭეთობები და ა. შ. ცალ-ცალკე და მითუმეტეს ერთად.

ვერ ვიცანი უმარავი რამ, შეცვლილი, დაკარგული და დამახინჯებული ვიცანი ქალები — ოდეს-გაუდა გოგონები, ახლა დაბერებულები და ისეთივე მონდიშებით ჭერში გაკედულ თოქებზე და დამწველი გულში, ყველაფრის გამო ერთბაშად და წამოდექი. სახლში ისე დავბრუნდი, ახას სიტყვაც არ დასტყვი, არც კი უკითხვავს რატომ წამოვედი ცირკთან ყველაზე ადრე. მხოლოდ საღამოს, ჩაის რომ ზერებდა ალაღინიანი ღამბატუნად, ოდნავ გადმობრუნა ქვედა ტუჩი და საყვედურიანი თვალებით ამოხედა — თეთრი ბუშტი რატომ არ მიყვებოდა.

ყველაზე დიდი და მართალი პოლიტიკა ამქვეყნად, რა თქმა უნდა, ბავშურფელობაა და მითუმეტეს გაუმეგობრებელი — როცა ფული არა გაქვს, შვილს პირდაპირ უნდა უთხრა და ახასიოდეს მოატყუო. ბავშვი, როგორი პატარაც არ უნდა იყოს, ყოველთვის გაიკავებს და მიხვდება, რადგან იგი, ისედაც ყველაფერს გრძობს...

### სოფლერა

მაყვს თანაკლასელი, ბავშვობის მეგობარი გიორგი ახვლედიანი — კარგი მწერალი, ჟურნალისტი, ისტორიკოსი და ამჟამად პრელოგოგი. ახლა ზუსტად აღარც მახსოვს რატომ, მაგრამ მე მას ხოლერას კმბახდი და მეოთხე კლასიდან მოყოლებული, ძალიან ხშირად გვიწყევდა ხოლმე ერთ მერხზე ჯდომას. სწორედ მეოთხე კლასში, ხოლერამ, სადღემლოდ გამანლი, რომ არალეკარულ ზელნაწერ გაზთვის გამოსცემდა და გიორგი ახვლედიანი, პირველი ადამიანი იყო, ვისაც საპასუხოდ, პირველს წავაკითხე ჩემი პირველი მოთხრობები.

ჩემს მოთხრობებს, რა თქმა უნდა, არ ვივი, მაგრამ ახლაც გუ-

ლი მწელება ხოლმე იმ უგზო-უკვალოდ დაკარგული, ზღაპრული გაზთვისის გამო, ხოლერა თავისი გაზთვისის დიდებული მზატვარი და გამფორმებელიც იყო და რომერის შინაარსსა და სტილს რომ ვიგონებ, დღესაც გაოცებული ვარ — საიდან ჰქონდა გიორგი ახვლედიანს, თურმეტი-თორმეტი წლის ბიჭს, ესოდენ მოზღვავებული ნიჭი დიდი შემოქმედისა.

რამდენიმე წლის წინ სპეციალურად გავეცანი მეცხრამეტე-მეოცე საუკუნეთა მიჯნის ქართულ პრესას — საუცხოო ნიმუშებს მართლაც, მაგრამ ახლაც დარწმუნებული ვარ და მჯერა — ხოლერას გაზთები იყო და არის კლასიკა — მაგალითი იმისა, თუ როგორი უნდა იყოს ქართული გაზთები. სამწუხაროა, რომ იმინი დაეიკარგა და საამაყო (ჩემთვის), რომ ხოლერა და მე ერთ მერხზე გავიზარდეთ.

მეუთვე კლასში, მახსოვს, ერთი თვით დაეიკარგა გიორგი — ყოველ დღით სახლიდან უშვებდნენ ჩანთადაკადებულს, მაგრამ სკოლამდე ვერ აღწევდა. როგორც მოგვიანებით გაირკვა — კუს ტბის ტყეში ერთი ამიჩემებული ნაძვის ქვეშ იჯდა და რომანს წერდა. იმ ერთი თვის თავზე, სკოლაში გაბადრული ამიჩენდა და რომანი წამაკითხა. ქართულ ენაზე დაწერილი მსგავსი არაფერი წამაკითხავს და რა დამაიწყებს იმ რომანისაგან მიღებულ შთაბეჭდილებასა და უზარმაზარ სიამოვნებას, რომელსაც თორმეტი წლის ავტორი ჰყავდა. ხოლერას არც მაშინ დაუტევლავს რამე და არც შემდგომ. მრავალ მიზეზთა შორის ალბათ თავმდაბლობა უპირველესი და მომთხოვნელობა საკუთარი შემოქმედების მიმართ — რაც ასე განგავსხვავებს ერთმანეთისგან ჰავშვობის მეგობრებს,

ახლაც ვეტყვი ზოგჯერ — დაბეჭდვ-მითვი რამე და საპასუხოდ ხელს ჩაიქნევს და ზუსტად ისე იღიმის ხოლმე, როგორც იმ ჩვენს ბავშვობაში, როცა და სადაც ყველაფერი იყო და საიდანაც დიდაფერი დაჯერა.

აღარაფერი — მე, დიმილი — ხოლერას...



# საქართველო საქართველო საქართველო

ნუნუ კუარაცხელი.

წვიმს...  
ორი დღეა, გადაუღებლად წვიმს.  
ეს წვიმა გაზაფხულის წვიმას  
როდი ჰგავს.

ეს ზღვა ცრემლია, დედა-სამშობლო  
რომ დასტირის და ეთხოვება  
თავის რჩეულ შვილს...

უესსე ზეციურ ცრემლთა  
ფრქვევას და მხოლოდ ერთს ვფიქრობ:  
ნეტავ, როდის გადაიღებს,  
როდის გამოიღარებს, როდის გა-  
ცისკროვდება?... და აფორიაქებულ  
ფაქტთა დასამწვივებლად გონებაში  
წამით გაერთება: „გადა-  
ვიღიან შავი დრობულები, ცოტა  
დაიცა, რა გააჩერებს ღვთის გარე-  
შე ამ დედაქალაქს. გამოიღარებს,  
გამოიწმინდება სხვათა ფარჩები, გა-  
მოიღარებს, მზე გამოიწმინდება და  
გაღარჩები.“

აძალა დედა-ბუნებამ. თითხმე-  
ტი მარტის ცაზე მართლაც გამო-  
წმინდა მზის სხივი. უცნურად და-  
ათობ და დააცხუნა ირგველივეთი.

მიღის და მიდის ზღვა ხალხი,  
წმინდა ნიკოლოზის ეკლესიის  
ეზო-მიადლი ვერ იტევს მოზღვა-  
ვებულ ნაკაღს და ივსება თვალსა-  
წიერი...

ისმის ჩუმი და ხმამაღალი ქეი-  
თინი.

ტრირის ქალი და კაცი. დიდი და  
პატარა.

ათილდე წლის გოგონას ფერმე-  
რთალ ღოვანზე ღვარად ჩამოსდის  
ცრემლთა ნაკადი.

ეს ანკლესონის ცრემლია მისთ-  
ვის დაკვირვებით.

ერთად თავშეყრილი ამღენი ჭი-  
რისუფალი დიდი ხანია თბილისის  
არ ახსოვს.

გლოვობს მთელი საქართველო...

ამოდ არ დამშვრალა, ამოდ  
არ დახარჯულა, ამოდ არ უმდე-  
რია: „ო, საქართველო, ოქროს-  
ფერი ხარ, საოცრება...“ და თით-  
ქის შესაფერის დროსა და ად-  
გილს უჩრჩევს თავის სისხლსა და  
ხორცს, რომ კიდევ ერთხელ ჩაა-  
ვინოს და გამოაფხიზლოს: „ხმალი  
ავუსოთ, ქართველებო, ხმალი ავ-  
ლესოთ, შემოვაქსოვით საქართ-  
ველოს ვაჭვის პერანგი!“

მოურჩენელი იარაა სწორედ,  
ზეციური სამყოფელსაკენ რომ  
იზიდავს: „ისევ მტკიცა მორჩენი-  
ლი იარა, შენ მიხედე და თავს გა-  
აზღვე, დემეტო“ — აქი მურთადა  
კიდევ: „ერთი კაცის გამარჯვება  
კი არა, ორი კაცის გამარჯვება კი  
არა, სამი კაცის გამარჯვება კი  
არა, საქართველოს გამარჯვება და-  
მილოცე, დემეტო“... ლოცვასავით  
გვიტოვებს ღამაზად ნამდერს.

„როც ამ ქვეყნად სიყვარული  
მეფობს, მე ყველასი მოტრფიალე  
ვარ.“ სწორედ იმ სიყვარულის  
წილ ცნობი ასეთი სიყვარული.

„გევა დრო და მოუფუცები შვი-  
ლებს, რომ სიყვარულს დიდი ძალა  
აქვს“. ახლა ჩვენ გვმართებს მისი  
დანაპირების შესრულება. „როცა  
მოკვდები, გულზე ცრემლი დამაყა-  
რე, იქაც შენი მარჯვლითი მაშეი-  
ბდეს“ — ეს ანდრეიძე აუსრულ-  
და...

მორის ფოცხიშვილის ლექსის  
სიმღერის პრემიერა კი გარდაცვა-  
ლებამდე რამდენიმე დღით ღრე  
შედა. პოეტის სიტყვების გა-  
თავისება, ეტყობა, ერთგვარი წი-  
ნათერმობაც იყავ: თბილისელთაც იყავ  
ბევრი წავიდა, ბევრი ქარბუკი ჩადა,

ატირებული დამრჩა მთაწმინდა,  
ატირებული დამრჩა მთაწმინდა,  
ამაღლებული დამრჩა მთაწმინდა,  
მთავარ ღვთის ლოცვად, ხატად.  
სიმღერა ჩემი თბილისის ესმოდა,  
რიგირ იქნება არ ვთქვა.  
თბილისი იყო ურთიერთობა,  
თბილისი არის ურთიერთობა,  
და კვლავ იქნება ურთიერთობა  
კეთილშობილითა ყრმათა.

„... ლეგენდის სათავეში მდგომი  
საქართველოს მომღერალი—ბატონი  
ნიკოლოზი, ჩვენი გოგი, უზარალოდ  
თბილისელი ბიჭი გოგია“. გაისმა  
წმინდა ნიკოლოზის ტაძრის კედ-  
ლებში წარმოთქმული გამოსახო-  
ვარი სიტყვები.

„სიტყვის კაცი, უღალატო, გუ-  
ლიანი, სუფთა, ალალი უაღრესად  
კოლორიტული ქართველი, ტკბილ-  
ღმნიანი მომღერალი, ახლობელი  
და მისაღები ყველასათვის“ — ასე  
იტყვის გოგი დოლიძეზე ეკა მა-  
მაღაძე.

მისი სათაყვანებელი „ქართული  
ხმების“ „მრავალპოეტი“ და მის  
პატვისსავემდე მოსული ათი ათა-  
სობით ჭირისუფალი ტაშით მია-  
ცილებს სამარადისო სასუფეველ-  
ში საქართველოსა და მისი ხალ-  
ხის სიყვარულში ნაადრევად ჩა-  
ფრთვად მომღერალს...

მარამ სიცოცხლე გრძელდება.  
მას გოგის სიმღერებთან ერთად  
მისი საფიციარი შვილი პატარა  
ლევან დოლიძე გაავრელებს.

... ვალში ვიყავით გოგისთან.  
ვერაფერი თავის მართლება, რომ  
მასთან შეხვედრა ჩვენი უურნალის  
ფურცლებზე უახლოეს გეგმაში  
გვერინდა შეტანილი.

1998 წლის 28 ოქტომბერს წიხში, თანამებრძოლებთან ერთად, მოლატებებმა დახვრიტეს სადგანტო-მოიეროზე ბატალიონის წეთაურის მოადგილე, შტაბის უფროსი, 24 წლის ვიცე-პოლკოვნიკი ლევან ციტიშვილი. მიზი სახელი მიენიჭა თბილისის 44-ე საშუალო სკოლას, ერთ-ერთ ქუჩას ნაძალადევის რაიონში და გაუქმდა მემორიალური დაფა სახლს, სადაც იგი ცხოვრობდა.



ეონავს შუბლზე მინავლეცი სისხლი წარმის ზემოდან, ის კი მაინც ტყვიას გვეგრის, ბორცვზე შიტომ შემოდგა.

ერთ ეზო-კარს და შივ ზინდად სიყრმეს, ჩასმულს ქარვამი, ... აი შოთას ვამზირიდან ამოღინართ ქალ-ვაჟი

გვეგრის, მზე რომ დაჯიჩრდილოს, თითქოს რამე გემართა. ... აგერ მკვლეშა, ვაი, შვილო, უკვე თოფი შემართა.

მოაწმინდაზე, სადაც სახლომ, აი შენი ზიქარიცი, ერთხელ კიდევ დავანახონ — ოჯახისკენ ირქარი...

ჩამქრალ ცეცხლის ბოლვას ქვავლი, ჩახიფ საყულო, როცა სახე მოლაატის ნახე, რის არ მანახელო.

და ერთბაშად, ბიჭო ლევან, ჩაცხრა ყველა იარა. გზა სხვისთვისაც იბოლება, მართო შეთვის კი არა.

ოლონდ მშობელს არ ანახებ დსვრეტის წინ იარებს. ბუკი ბანაკს ვადასამხვებს, ტანში გაგაფირილებს.

როგორც ალი ნაღვივები, მოვარდები ბურანში. ... დედამ გიცნო გალიმეზით, ამოსულა უღვაშით.

— შეთაური სად არიო, ქარის მოთქმა გაფხირლებს. — წინ მიუძღვის ბატალიონის ნაღარების ძახილზე!

ბალახების ნალევნოს თაფლად ძირს ფესვები იყოფენ, შეთარე დაღის და ერთ საფლავს ზოგჯერ ჩრდილებს მიმოფენს.

— სად არიო, სად არიო, ხმა ხმას მისდევს ყვედრებით, — ეძებს თავის ბატალიონს!.. პასუხოზენ მხედრები.

არწვეს, დაობს ნისლში ხშირი ჩრდილის ჩამოლევანი — აქ წვეს, დაო, ცქიტშივლი, შენი შვილი გვეზიანი...

თვითონ ვასცემ პასუხს იმ წამს, თვალზე ცრემლივ გედინოს: — აფხაზეთში კართულ მიწას ეეწირები, დედილო!

ხმა აუბანს, ყარეს წილი, ჩონგურებმა გიტარებს: — ფეხით წახველო, დაღეწილი მსრებით ამოგიტანეს.

გაგრის დღეა მაინც ავი, შეუღლევს ელვავი, ლესელიძე დაიცავი თითქმის შიშველ სელებით.

აქ ლანდები არ დაღიან, ძინავთ დამცხრალთ, დაოსით, და დუმილივ მარადია, ძილიც სასაფლავისი.

დაეძებდა თვალი ჩეენებს, როცა ტყვია ვახალეს, სიკვდილს ზურავი არ უჩვენე და არც თავი ჩახარე.

ის არაა სატრიალი, ვინც ქვეყნის ბედს უფილია, თუ სადმეა ოქრო, ლალი, ამბოგრეტონ გულიდან,

მიწა შენ არ გაგიცვლია, ცისკენ ისე წახველი, ჯერ სახელი არ იცია, მაგრამ შოვა სახელიც.

ამოყარონ, ამოღვარონ, არა ცრემლის დინებით, ჩამოცეცო ბოლომ, დარო, წლომით ნალოდინევი.

თომც ყველა გზა გულზე ელვავს, როგორც ტილო, ნახატი, შენ მაშინაც უეჭველად ერთ გზას დაინახავდი;

თბილისიდან ბერავს ქარი ფსოსს სანაპირომდე. დედა მაინც დედა არი, დედა უნდა ტიროდეს...

თურმე, სამწუხაროდ, ამ ჩანა-ფიქრს ასრულება აღარ ეწერა.

იმედად ისდა დაგვრჩენია, რომ ჩვენს საყვარელ მომღერალს ციურ სასუფიველში რუსუდან სებასკ-ვერაძის სევიდან მუსიკასთან და მისი უპირველესი სცენური პარტნიორისა და უახლოესი მეგობრის კა მამალაძის სიმღერასთან ერთად ბატონ ჯანსუღ ჩარკვიანის ცრემლიანი სტრიაქონები უწინამძღვრებს:

არ ყოფილხარ არცა ცრემლის, არც სიმღერის მთხოვნელი, არცა სხვისი სიხარულის და ბედ-იღბლის მღომელი.

თავად იყავ შენი სევდის და სიმღერის მპოვნელი, გულში გეღვა სიჩაუქე ეგზომ მიუწვდომელი.

საქართველოს ცის და მიწის მტრის ჯინაზე მომკლელი ბოლოში რომ დაჯდებოდი, იყავ თავში მჯდომელი.

ახლა უკვე ციდან ხარ სიმღერების მთოველი, თვალმუდგამ სინათლიდან ისევ შენ ხმას ძიველი.

და ივლისი ცით მოვლენილი ხმა კიდით-კიდემდე, ივლის და თაობებს გადაეცემა არდავიწყების შარავანდლად.

ყოფი გვიც დოლიძე, არის და იქნება მისი სიმღერა.

საქართველოს

# ჩვენი სასურველი

საქართველოს  
საბჭოთაო  
კავშირები

მომხრობა

## მულნარა ბასტამი

● თავდაპირველი გამოიღო მძღოლმა: საბურავები არ მიყარავ, ვერ წამოვალ, ქალაქში რამდენიც გინდა მიმასხურე, ჩემი თავი გენცვალონს.

მგზავრი არწმუნებდა: გზა მოასფალტებულია, მანქანას არაფერი დაუშვავდება.

— ხომ ხედავ, ნაწიქმარია, — თქვა მძღოლმა, — წამოვალ და ვიცი, უნდა მოვცდე მთელი დღე.

— ოცი წუთის სავალია იქამდე, წახვალა-წამოსვლას სათი მოვეუნებები, თუ მოგაცდინე, ავინახვალაურებ.

— კარგი, რაც იქნება, იქნება, წაივდი! — თქვა მძღოლმა და მანქანა დაძრა.

— ავასუნა ღმერთმა! — აღმოხდა მგზავრს. უკანა სავარძელზე მოიკალათა, გახეთი ვაშლა და კითხვას შეუდგა.

ტაქსი მიჰქორღა. კითხვით გართულმა მგზავრმა ვერ შეამჩნია, გზა როგორ გაიწვია.

სოფლის გზაჯვარედინზე მძღოლმა ხელა შეწინა და ჰკითხა: — ახლა საით?

მგზავრმა გახეთი გადასდო და ფანჯარაში გაიხედა.

— გააჩერე, გააჩერე! მძღოლმა მანქანა სასაფლაოს შესასვლელთან დაამუხრუჭა და შემოუბრუნებდა მისძახს: — ეს სად მომიყვანე, კაციო!

მგზავრმა მწიფად აუხსნა: — აქ ჩემი დედ-მამის საფლავია, თუ არ შეწუხებები, გამოიყვე, მე-გობარო!

— აქ რისთვის მომიყვანე, კაციო! — ახლა უფრო ხმაშიაღლა უსაყვლდრა მძღოლმა.

მგზავრმა შეხედა მძღოლს, მიტკლის ფერი დასდებოდა სახეზე.

— ცუდად ხომ არა ხართ? — ცუდად ვარ თუ კარვად, გინახარი, არ წამოვალ-მეთქი.

— მაშინ, თუ ნების დართავ, მე წავალ, დავხედავ საფლავს და ახლავ დავებრუნდები.

ორი კვირის წინ, აქ შეუმოსავი აყო ნებები, მიწა შიშველია, ახლა ახორცილის ძალა დასტყობოდა აქურობას. ნაწიქმარზე მწვანედ დაღანება ბალახი. სასაფლაოზე კაცის ჰატანება არ იყო.

საფლავებს აქეთ-იქით საცალფერო ბილიკი მიუყვებოდა. მგზავრი ერთ-ერთ ბილიკს დადგა. რკინით შეღობილ საფლავთან შედგა, ვილიკის მონახილება იგრძინო. უკან მოიხედა.

— შენ ხარ? — ვაუღმა მძღოლმა, — ავასუნა ღმერთმა! — გახსნა საფლავის ჩარახული კარი და შიგ შევიდა.

უცბე თითქოს გათენდაო, ღრუბლებიდან მზემ გამოანათა.

— რა საოცარი დაბთხვევია, — თქვა მგზავრმა, — აქ რომ მივალ, თოვს, წვიმს, ყინვაა თუ ქარი, როგორც კი ფეხს შევდგამ მშობლებს საფლავზე, მზე გამოიხედავს და მაშინ მგონია, ეს დედაჩემია, გახარებული, პირმცინარი რომ მეგებება.

მძღოლი თავდახრილი უხმენდა მგზავრს და ქვის სასთუმალს დასცქეროდა. სახელი, გვარი, დაბადებისა და გარდაცვალების წლები წაუწერათ საფლავის ქვაზე. საფლავი სუფთა და მოვლილი იყო, რამდენიმე ადივლას სამყურა ბალახს ამოყვო თავი, მგზავრი დაინახრა, ძირიანად მოთხარა, მერე პორთფელი გახსნა, კონებად შეკრული თეთრი შროშანა ამოიღო და ფრთხილად დააწყო საფლავზე.

— ეს ყველი დედაჩემს უყვარდა, — თქვა მგზავრმა, — ახლა თითო ჰოქა წაუჭკვიოთ მიცალბებულეს! — დაინახა, ქვის სასთუმლის ქვეშ მყუო ხელი და ნათაიღ ღვინის ჰოქა ამოიღო.

— იცო რამდენი წლისაა ეს ჰოქა? ორმოცდაათისი. თქვენსმეტი წლისამ ამ ჰოქით პირველად დავლიე ღვინო, მამაჩემის შესანდობარი შევსვი. მას შემდეგ აქ ვინახავ! — ჰოქა გაწმინდა, პორტფელიდან ბოთლი ამოიღო და ჰოქაღვინით შეავსო, საფლავს წაუქცია და თქვა: — გაუმარჯოს მამარემს! მე მას ყოველთვის როგორც ცოცხლას, ისე ვაღუვებრქვებო. იგი ოცდაცამეტ წლისა დიდილუბა ტუბერკულოზითი. ახლა ვილა კვდება ჰოქით? შენ თუ გყავს მშობლები? — ჰკითხა მძღოლს.

— მძღოლს პასუხი არ გაუცია.

— ცოცხლები გყვანან?

— ცოცხლები არიან — წაილულლუდა მძღოლმა.

— ბედნიერი კაცი ყოფილხარ, ამაო. არც შენ უნდა იყო მთლად ახალგაზრდა. თამში ჰქარავ გამოერევივა. რამდენისა ხარ?

— ორმოცდაათისი.

— მე სამოციე ვარ. ადამიანს სიჭაბუკეში ხომ სჭირდება მზრუნველი ხელი, სიბერეში — უფრო მეტად. თუ ხანშიშესულის მშობლები გყავს, წლები არ გეტყვობა.

ღედაჩემი ახლახან გარდაიცვალა, ოთხმოცი წლის, ჩემი შობილის დაეპატკებებს მოესწრო. სიცოცხლენით სავსე ქალი იყო. სამართლანი და მკაცრი. ოთარანთ ჰქვრივითი პილიმდომორული მამული ეცხრო. ორმოცდაათი წელი ემსახურა ხალხს. ერთი სამუშაო დღე არ გაუცდენია. ზეზეულად ვაივავდა. წაივდა იგი და თითქოს წამართვეს ბავშვობა, უზრუნველი ცხოვრება... ხსივნა იყოს მისი! — მგზავრმა ღვინო ოღნავ მოსვა და დანარჩენი საფლავზე მოახსნა. ჰოქა შეავსო და მძღოლს გაუწოდა.

— ხსივნა იყოს ღვინათქვენის. და... ყველა იმქვეყნად წახუელი დედისი — ძლივს ამოღურდა მან. — რა სიჭმუქა! მართალი ვთხარა, აქ მარტო მოსვლა არც მე მსიაიოვნებს... მადლობელო ვარ. ასეთ ღროს ადამიანის გვერდით ყოფნა ღონეს გმატებს, ახლა კი წაივდი! — მძღოლს ცარიელი ჰოქა გამოართვა და ქვის სასთუმლის ქვეშ შეინახა.

— წავედო? ცოტად დავიცადი!

— რატომ — ვაიოცა მგზავრმა.

— მე საქმე აღარა მაქვს. მატარებელზე დავიგვიანებ...

— კეთილი, კეთილი, წაივდი!

— თქვა მძღოლმა.

მძღოლი წინ გარბოდა, გარბოდა ისე, თითქოს უკან მისდევდა ვინმე. მგზავრი ძლივს ეწვია.

მძღოლი საჭვს მოუჯდა. მგზავრმა თავისი ადვილი დიაკავა. მიუელი გზა ხნამაიუღებლად გალივის. სადგურში კიბებთან, მიყვანა მძღოლმა მანქანა. მგზავრმა ხელი დაავლო პორტფელს, სახანდით შეკრულ წიგნებს და მანქანიდან გადამოვიდა.

— აბა, ნახვამდის! — ხელი გაუწოდა მძღოლს: — შენი დიდი მადლობელო ვარ!

— დიაკავ, თუ მმა ხარ, სათქმელი მაქვს. აგერ ბუფეტში, ცოტახნით შევივდი.

— დავიგვიანებ, აქ მითხარა, რაც გაქვს სათქმელი. მატარებელი უკვე ჩამოვდა. შენი სახელია! — ჰკითხა მგზავრმა.

— რად გინდა ჩემი სახელი? უმადური მქვია მე, უნიღბო!

— რატომ, შე კაციო? — შეწუხდა მგზავრი.

— რატომ და წელან ვიცრუე არც მე მყავს მშობლები და ჩემს დედ-მამა იქ მარხია, მაცხოვრის სასაფლავოზე, სადაც შენინახები!

— მერედა, რატომ არ თქვა?



მხატვარი დინარა ნოღია

— რა პირით მეთქვა? შენ ერთი სამყურა ბალახი არ გააჭაჭანე მშობლების გულზე. ჩემიანების საფლავეზე, ალბათ, სარეველას მოდებულნი. მშობლები ადრე დამეხოცა, შერე ნათესავებმა წამიყვანეს სოფელში, იქ გავიზარდე. ახლაც იქ ვცხოვრობ, პოდა, დღეში რამდენჯერმე მიმყავს და მომყავს ხალხი ამ გზაზე. ჩავეული სასაფლაოს და ერთხელაც არ შევალ. ვინ ვარ მე, რა მქვია, იქნებ შენ მითხრა?!

— დამშვიდიდი! ჩემო კარგო, რას იზამ, ასეც ხდება... სამწუხაროდ, ჩვენში ბევრი მიტოვებული საფლაოა. თუმცა ახლობლის საფლავის პატრონობა ქართველებს ოდიოზანვე მოგვდევას.

— უმაღური შეკია მე, ო, რა მწარედ ჩამახდე გულში! შვილობაც შენ დაიკევე და კაცობაც: დედ-მამის გულზე ბალახს არ ახარებ, მე კი უმაღური და უსინდისო მქვია.

— დამშვიდიდი, დამშვიდიდი, მე-

გობარო, ყური დამიგდე, ჩვენ მალე შეგვდებით ერთმანეთს, მე ჩემი შვილით ჩამოვალ აქ. ღობე უნდა შევდებო. ნათესავეების საფლავესაც მივხედავ. სამწუხაროდ, აქ ბევრი ჩემი ახლობლის საფლაოა მიტოვებული. შენც მოდი, მე დაგეხმარები და თქვენებსაც დაუდგათ ქვის სასოფალი. ხომ მოხვალ?!

— როგორ არ მოვალ? მაგრამ... რომ ვერ ვიპოვო? გულს მიჭამს ამის გაფიქრება. თუმცა, თუთის ხე... ის თუ მიშველის, თუთის ხის ძირში დამარხეს დედა, — თქვა მძლილმა და მგზავრმა მის სახეზე სულით ხორცამდე შეძრული კაცის ტკივილი ამოიკიხა.

— ვერ ვიპოვო? როგორ ვერ ვიპოვო? სოფელში ყველამ იცის, ვინ სად მარხია. თუთის ხე? მაცხოვარზე სულ ოთხი ძირი თუთის ხეა. ვიპოვით, ვიპოვით, ნუ გემინია!

მატარებელი ჩამოდა.

— აბა, ნახვამდის, წავედი! — თქვა მგზავრმა და ბაქანს მიაშურა.

— დაცა, დაცა! — ყვირილით დაცა მძლილი და ვაგონის კიბეზე ასულ კაცს ჯიბეში რაღაცა ჩაუღი.

— რა ჰქენი, კაცო, ფულს მიბრუნებ? ეს ხომ შენი გასამრჯელოა?

— ვერა, ვერა, ძმაო, ამ გზაზე შენ ფულს ვერ გამოგართმევ! — გასძახა მძლილმა.

მატარებელი თვალს მიეფარა. მძლილი იდგა. თითქოს ამ ერთ საათში წლები ერთბაშად მორეოდა, დაბატარაებულიყო, დარჩავე-ბულიყო, იდგა, სახე ხელებში ჩაქმალა.

ცაზე მზე კაშკაშებდა. მერე მზე გადიდდა, გადიდდა, სხივები გადმოაფრქვია და ჭლარა კაცს თმაზე მიუალერსა.



თვალი ერთ-ორჯერ მომიკრავს,  
გადაჰკრავს ფერი ლაყვარლის,  
შავ, მოგზო მისკარტს აუღეებს,  
შუვარს წელს პირას ნაყარდი.

„სიზმარს გაეს... — ტოტი ძეწისა  
კვირობს — ასეთი რა მზის?!..“  
არც მე ვარ სადმე მხილველი  
ჩიტის, იმაზე ლამაზის.

**უიღბლო**

ბედთან არაფერი გამდის,  
მართლიც რო ვიყო ცამდის...  
ყინვა მზარობს, სძულ კოჭებში  
ქარი გამომდის და გამდის,  
რამდენია უნამუსო,  
მღერის „რამდიდარო-რამდის...“

**ოცნების ნაწილი**

მიიწურება, მიტოკავს გრესით,  
ბზინავს აქლემის თფო ციცაბო;  
რბოდ ბეწვზე რომ არ დაგიცდეს  
ფეხი,  
უნდა გაეკრა და დაიძაბო.

გამოიარა უდაბნო მლაშე,  
მზეს, მღუღარს, ბევრჯერ ეცვალა  
ფერი;  
მოაღდა ქალაქს და ლაშქობიდან  
მოწვეთავს დუჟი, წითელი მტვერი.

**ბანაიოვანი**

სუნთქვა და შვერა ჩემსავით  
რამდენმა გაგაყოლა,  
მთვარეზე, არ მოგმეზრებოდეს  
ეგ უსასარულო სრბოლა.

ცა გიკავს — მარლო, ნათელი —  
დიდ მშთან საზიარო,  
ჯერ ვაა, რამდენიმე მომართულა,  
შენ რომ არ გადაიარო.

არ დაიხვიო ღრუბელი,  
პირი არ მოიქუფრო,  
მოგზაურობა, სრიალი,  
ღამით გისდება უფრო.

**ეპიტოფა**

გზა არ მიქვს დასახვევი,  
უფალს აღთქმა მივეცი,  
სისხლის ყივილს აუყევი,  
მთქმელი ვარ იგივესი:

ასჯერ გვარზე ნაცვამი,  
შენგან განაწვალევი,  
სხვას არავის შევხედავ,  
შენვე გენაცვალევი.

**კმალი როგაული ფრესხა: ფლორა**

რა გამოლევს ქვეყანაზე  
მოშურნეს და მქირდავს,  
ერთობი და თავსაც ჭრელი  
გვირგვინებით ირთავ,  
სულ სხვა არი, გაზაფხულო,  
ბედი ჩემნაირთა,  
დაბადებდა შენი ერთი  
შემოსხედა ღირდა.

**მიჯნაჯ**

ასე მგონია, მიცდი —  
გალაღმა ცხრა ზღვის, ცხრა მთის,  
ხელს, დაცხავებულს, მიწვილი,  
მღურის ცრემლები დადის;

სხვის გაეყვებოდი მთვარისას,  
გამბულს მივიდან ცამდის,  
არ განხო, გული არ იზამს,  
სიზმარს კვლევი თუ ნამდვილს.

**ჰაიჰაირობი**

შევეგუე, შევეთვისე —  
თავიდანვე მოლის ასე;  
ღმერთებშიც რომ გავეერიო,  
კაპიჯია ჩემი ფასი.

კაცს, ხორციელს, რა მოეთხოვო,  
ასეთია უფლის ნება,  
ცის ვარსკვლავი რომ მოგწვიტო,  
კენჭდაც არ ჩამეთელება.

**კირპელი ბაზაფხული**

**საოჯახო ალაოვიდა**

დედ-მამას ჩემსას, ვით ბარტი  
ჩხართვის  
(ფოტოზე დარჩა სახე იმათი),  
მე ხელში ვყევიარ, არც კი ვარ  
რვა თვის,  
ნეტავი რისი ჰქონდათ იმედი.

აწ ტანჯვის აღმართს ამოვათავებ...  
დავკატედა ზეავი რა უეცარად,  
საწყენი კია ცოტა, სამთავს —  
მათაც, მეც — ხელი რო მოგვეყარა.

**შახხედა**

ვინც საქართველოს შავი  
დღე დაუყენა, ვწყველი,  
ჯემაღ ჩხავას თვალზე  
მომდგარი მიყვარს ცრემლი.

სახელდახელო სუფრა.  
შავი გვისხია ღვიზო...  
შორს დარჩენილა ვამი,  
სახუმარ-საღილიზო.

სარდაფის კიბე. „რაჭა“ —  
სახელი იმ რესტორნის,  
სანთლების შუქზე ვზივართო,  
ცვლით ბროლის ჭიქებს ორნი.

დუნედ შორდება ხახას  
საოქმელი, სასაბურთო,  
გულისთქმა ჩვენი წარსულს  
ეხსიანება უფრო.

ყურში ჩამესმის, მახსოვს —  
ლაღი სიმღერა, მფოთი...  
დედულეთია, მიყვარს  
მისი და ჩემი ფოთი,


**წახილი ბარდასულა**

ვინ შემარჩენდა, დაგვარებ  
ბალობის მყუდრო ჭერი...  
არსად ჩანს, აჭრულბეული  
ბამბუკის ეტაყერი.

ატლასი ნამარს ცხოველთა  
სად გაქრა, ღმერთმა იცის,  
ვერსად მივაგენ ვერც იმ ძველ  
ვეფხისტყაოსანს, ზიჩის.

ზალის მწუხარე კედელი...  
სსოვნში მწარედ ჩარჩა  
ჩემი დაღუპულ მამიდი  
სურათი, შავი ჩარჩო.

ვინც არ მოელის ყოველ წამს  
სიკედლის, სტივის და სტოების...  
ვისხენებ ხილვას, სასწაულს —  
ყამს ხეთა გამიშვლები.



სერობა.

ლევან ლალიძე.



**100 პორტრეტის  
გამოფენიდან**




**ზ. ნიჟარაძე**  
**დ. პარიშვილი**  
**ე. კალაშნიკი**  
**ბ. კასრაძე**





ირაკლი ფარქიანი.

აბსტრაქცია.



### მალხაზ ხაჯარაგებიშვილი

#### ანდერკი

ჩემი სიყვლილი  
წოხა თავისუფლების  
სულის წეში...  
ვისაც ვუყვარად — უველა თეთრებით  
წეიწოხოს. თერთად შეშლებეთ  
ბაღდანიც.

საძვალეც ჩემო...  
არ მსურს მზიკა  
თუ მაინცდამაინც იების კონა დამიწყეთ  
გულზე

და ხიჭუმით დამახალავეთ...  
საულაგის დავსა მიაწერეთ  
მხოლოდ ჩემი ებაძეთა  
აქ განსვენებს  
თავისი სულის მძარცველი  
გაჭი.

#### მომყვანი

მოლოთ  
ავტორდეთ  
ერთხელ იმე  
როგორც ბავშვები  
საკუთარ ცრემლმა  
ავჯიჩყუოს —  
გული იქნება...

#### მომგონება

დავკარგეთ ხატო  
შარვლის ჩიხეში  
გარეცხილი მისამართივით  
და ახლა ხანთელს ვუნთებო  
ხინაულს.



გაზირდა ცნობრება, მფარლის წიგნი ალარ გემოღის, თუ გემოვა და აგინე უი-  
დულღობ. ვისაც წიგნი უშვარს, ფული არა აგვს, ვისაც ფული აგვს, წიგნი არ უშ-  
ვარს. მომგონებრს გემონაქლისმა, და თუ მომგონებრს, სწორად ამ გემონაქლისთა  
გემო დაგანან რუსთაველის კროსკამეტაღ ღარინგი მფარლბები, დაგანან და წიგნებს უი-  
